ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№ 222

ქალაქი ქუთაისი 7 სექტემბერი 2020 წელი

საარჩევნო პერიოდში ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს საჯარო მოსამსახურეთა სახელმძღვანელო
ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 45-ე მუხლის მე-4 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტისა და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის საფუძველზე, **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

მუხლი 1. დამტკიცდეს საარჩევნო პერიოდში ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საჯარო მოსამსახურეთა სახელმძღვანელო ინსტრუქცია, დანართის შესაბამისად.

(დანართი ბრძანებას თან ერთვის)

მუხლი 2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა, უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საჯარო მოსამსახურეთათვის გაცნობა.

მუხლი 3. ბრძანება შეძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 4. ბრძანება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი _____ ირაკლი შენგელია

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარის 2020 წლის 7 სექტემბრის №222 ბრძანების

დანართი

საარჩევნო პერიოდში ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს საჯარო მოსამსახურეთა სახელმძღვანელო

ინსტრუქცია

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

საარჩევნო პერიოდში ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საჯარო მოსამსახურეები ვალდებულნი არიან დაიცვან და გაითვალისწინონ საარჩევნო კანონმდებლობით დადგენილი წესები და მოთხოვნები.

მუხლი 2. საარჩევნო პერიოდში ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მოსამსახურეთა სახელმძღვანელო ინსტრუქციის მიზანი

1. ამ ინსტრუქციის მიზანია საარჩევნო პერიოდში საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ განსაზღვრული ვალდებულებებისა და ამ ვალდებულებების დარღვევისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საჯარო მოსამსახურეთათვის გაცნობა და მათთვის სახელმძღვანელო მითითებების მიცემა.

2. წინამდებარე ინსტრუქცია განსაზღვრავს წინასაარჩევნო პერიოდში, არჩევნების დღეს და არჩევნების საბოლოო შედეგების შეჯამებამდე/გამოქვეყნებამდე:

ა) ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საჯარო მოსამსახურეთა ქცევის წესებს და საარჩევნო კანონმდებლობით დადგენილ ვალდებულებებს;

ბ) საკრებულოს მოსამსახურეთა უფლება-მოვალეობებს, ასევე კანონით დადგენილ აკრძალვებსა და შეზღუდვებს.

მუხლი 3. ხმის მიცემა

1. ხმის მიცემა ფარულია. თითოეული ამომრჩეველი ხმას აძლევს პირადად. დაუშვებელია ხმის მიცემა სხვა პირის ნაცვლად.

2. არჩევნების დროს სხვისი პიროვნების დამადასტურებელი დოკუმენტის ან ყალბი დოკუმენტის საფუძველზე ხმის მიცემა, ასევე, არაერთგზის ხმის მიცემა წარმოადგენს დანაშაულს და ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე. ხმის მიცემის ფარულობის დარღვევა ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე.

მუხლი 4. აკრძალვები წინასაარჩევნო აგიტაციისას და კამპანიისას

1. წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის უფლების მქონე ნებისმიერ პირს წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში ეკრძალება პოლიტიკური პარტიის, საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატის, საარჩევნო სუბიექტების მხარდასაჭერად ან საწინააღმდეგოდ წინასაარჩევნო აგიტაციისა და კამპანიის პროცესში მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება, მათ შორის, იკრძალება მუნიციპალიტეტის კუთვნილი:

ა) ადმინისტრაციული შენობის გამოყენება;

ბ) საკომუნიკაციო საშუალებების, საინფორმაციო მომსახურებისა და სხვადასხვა სახის ტექნიკის გამოყენება;

გ) სატრანსპორტო საშუალებების გამოყენება.

2. საკრებულოს მოსამსახურეს ეკრძალება პოლიტიკური პარტიის, საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატის ან საარჩევნო სუბიექტის მხარდასაჭერად ან საწინააღმდეგოდ წინასაარჩევნო აგიტაციისა და კამპანიის წარმოების პროცესში თავისი თანამდებობრივი ან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენება, რაც გულისხმობს:

ა) სამსახურებრივად დაქვემდებარებული ან სხვაგვარად დამოკიდებული პირის ჩაბმას ისეთ საქმიანობაში, რომელიც ხელს უწყობს კანდიდატის წარდგენას ან/და არჩევას;

ბ) სამსახურებრივი მივლინებების დროს ხელმოწერების შეგროვებას და წინასაარჩევნო აგიტაციის გაწევას;

გ) წინასაარჩევნო აგიტაციის გაწევას.

მუხლი 5. საარჩევნო პერიოდში დადგენილი შეზღუდვები

აკრძალულია:

ა) წინასაარჩევნო კამპანიის წარმოება საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებაში;

ბ) საოლქო საარჩევნო კომისიის განთავსება იმ შენობაში, რომელშიც განთავსებულია მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანო – საკრებულო;

გ) სააგიტაციო მასალების გაკვრა მუნიციპალიტეტის ორგანოების ინტერიერსა და ექსტერიერში;

დ) საკრებულოს მოსამსახურის მიერ წინასაარჩევნო აგიტაციის გაწევა და აგიტაციაში მონაწილეობა სამუშაო საათების განმავლობაში ან/და როდესაც ისინი უშუალოდ ასრულებენ სამსახურებრივ ფუნქციებს;

ე) წინასაარჩევნო აგიტაციის და კამპანიის დროს ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება;

ვ) თანამდებობრივი ან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენება;

ზ) მუნიციპალიტეტის ორგანოებისა და იმ ორგანიზაციებისათვის, რომელთა დაფინანსება ხდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან (გარდა პოლიტიკური პარტიებისა), განკუთვნილი საკომუნიკაციო საშუალებების (მათ შორის, ელფოსტა), საინფორმაციო მომსახურებისა (მათ შორის, ოფიციალური ვებგვერდი ან/და ბიუჯეტის სახსრებით ადმინისტრირებული სოციალური მედია) და სხვადასხვა სახის ტექნიკის (მათ შორის, ზემოხსენებული საკომუნიკაციო საშუალებებისა და სხვადასხვა სახის ტექნიკის გამოყენების გზით პირად სოციალურ ქსელებში წინასაარჩევნო კამპანიის (აგიტაციის) ნიშნების შემცველი ინფორმაციის განთავსება) გამოყენება.

მუხლი 6. საკრებულოს მოსამსახურეთა უფლება-მოვალეობები

1. არჩევნების დანიშვნიდან არჩევნების საბოლოო შედეგების გამოქვეყნებამდე აკრძალულია:

ა) მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს თავმჯდომარე იყოს საუბნო საარჩევნო კომისიის წევრი;

ბ) მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს წევრი იყოს ადგილობრივი დამკვირვებელი;

გ) სააგიტაციო მასალის ჩამოხსნა, ჩამოხევა, დაფარვა ან დაზიანება, თუ ის აკრძალულ ადგილას არ არის განთავსებული;

დ) ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება;

ე) თანამდებობრივი ან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენება.

2. საუბნო საარჩევნო კომისიის წევრად შეიძლება დაინიშნოს/აირჩეს საჯარო მოსამსახურე (გარდა ამ მუხლის მე-5 პუნქტის „დ"–„კ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული პირებისა). მასზე არ გავრცელდება „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონით თანამდებობრივი შეუთავსებლობის შესახებ დადგენილი მოთხოვნები. საუბნო საარჩევნო კომისიის წევრად საჯარო მოსამსახურის დანიშვნის/არჩევის შემთხვევაში საჯარო მოსამსახურეს საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის უფლებამოსილების განხორციელების პერიოდში დროებით შეიძლება შეუჩერდეს უფლებამოსილება მუდმივ სამუშაო ადგილას, რისთვისაც მას კანონით დადგენილი წესით ეძლევა ანაზღაურებისგარეშე შვებულება ან კუთვნილი ანაზღაურებადი შვებულება საკუთარი მოთხოვნის შესაბამისად;

3. არჩევნების დანიშვნის შესახებ შესაბამისი სამართლებრივი აქტის გამოქვეყნებიდან კენჭისყრის დღის ჩათვლით, ხოლო მეორე ტურის გამართვის საჭიროებისას – არჩევნების დანიშვნის შესახებ შესაბამისი სამართლებრივი აქტის გამოქვეყნებიდან მეორე ტურის კენჭისყრის დღის ჩათვლით აკრძალულია საარჩევნო სუბიექტების, საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატებისა და მათი წარმომადგენლების მიერ პირადად ან ვინმეს, მათ შორის, საკრებულოს მოსამსახურის მეშვეობით საქართველოს მოქალაქეებისათვის ფულადი სახსრების, საჩუქრებისა და სხვა მატერიალურ ფასეულობათა გადაცემა (მიუხედავად მათი ღირებულებისა),

შეღავათიან ფასად საქონლის მიყიდვა, უფასოდ ნებისმიერი საქონლის მიწოდება ან გავრცელება, აგრეთვე საქართველოს მოქალაქეების დაინტერესება ფულადი სახსრების, ფასიანი ქაღალდებისა და სხვა მატერიალურ ფასეულობათა გადაცემის დაპირებით (მიუხედავად მათი ღირებულებისა), აგრეთვე, ფიზიკური და იურიდიული პირების, მათ შორის, საკრებულოს მოსამსახურის მიერ პირადი ფულადი სახსრებით ან/და საარჩევნო სუბიექტის სახსრებით ისეთი სამუშაოს შესრულება ან მომსახურების გაწევა, რომელიც, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, განეკუთვნება საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების ან/და მუნიციპალიტეტის ორგანოთა კომპეტენციას;

მუხლი 7. საკრებულოს მიერ პოლიტიკური ნეიტრალობის უზრუნველყოფა

საკრებულოს ყველა მოსამსახურე ვალდებულია მკაცრად დაიცვას პოლიტიკური ნეიტრალობის პრინციპი – არ მიიღოს მონაწილეობა საარჩევნო სუბიექტის მიერ წარმოებულ აგიტაციასა და კამპანიაში, დაიცვას ამ ინსტრუქციით დადგენილი სხვა მოთხოვნები.

მუხლი 8. ცალკეული პასუხისმგებლობა საჯარო მოსამსახურეთა მიერ საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევისათვის

1. საარჩევნო კოდექსით დადგენილ მოთხოვნათა დარღვევით წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის მიღება გამოიწვევს დაჯარიმებას 2 000 ლარის ოდენობით;

2. წინასაარჩევნო მოწოდებების, განცხადებების, წარწერების, ფურცლების, ფოტო და სხვა მასალების გავრცელებისათვის ხელის შეშლა და ჩამორთმევა, აგრეთვე, სააგიტაციო დანიშნულების ავტოსატრანსპორტო და სპეციალური მოწყობილობით აღჭურვილი სხვა საშუალებების ჩამორთმევა ან წინასაარჩევნო აგიტაციის მიზნით მათი გამოყენებისათვის ხელის შეშლა გამოიწვევს დაჯარიმებას 1 000 ლარის ოდენობით, ხოლო იგივე ქმედება, ჩადენილი თანამდებობის პირის მიერ გამოიწვევს დაჯარიმებას 2000 ლარის ოდენობით;

3. საარჩევნო კამპანიის ჩატარება იმ დაწესებულებათა შენობებში, რომლებიც აკრძალულია საარჩევნო კოდექსით, და ასეთი ნებართვის გაცემა უფლებამოსილი პირის მიერ გამოიწვევს დაჯარიმებას 1 000 ლარის ოდენობით;

4. წინასაარჩევნო აგიტაციისას და კამპანიისას ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებისას და თანამდებობრივი ან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებისას საარჩევნო კოდექსით დადგენილი მოთხოვნების დარღვევა გამოიწვევს დაჯარიმებას 2 000 ლარის ოდენობით.

საკრებულოს თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი — ირაკლი შენგელია